

ეველინა ვათიაშვილი

“Eou Mohel”

ო 'მოელ

თებე-33 წლის მწერალი
ოლიკო-30 წლის დრამატურგი
თემიკო-35 წლის მწერალი, სცენარისტი
დიმიტრი-50 წლის ფსიქოლოგი
ეგუდიელი- 29 წლის ავტონჟინერი
ლევანი-60 წლის მწერალი. თებეს მამა
მერსია- 47 წლის, ეგუდიელის დედა

სცენა 1. კაფე “ შუშაბანდის” წინ თებე და ოლიკო ხვდებიან ერთმანეთს და შედიან კაფეში.

თებე-როგორ ხარ?
ოლიკო-შენ?
თებე-რა ვიცი... იცი, ვინ მოვა?
ოლიკო-კიდე მოვა ვინმე?
თებე-კი! თემიკოა ჩამოსული ქალაქში.
ოლიკო-კაი რაა... ძან გამეხარდა. მე რატო არ დამირეკა?
თებე-ჩუმათ ჩამოვიდა. ყურში შუილები აქვს.
ოლიკო-რა აქვს?
თებე-უწუის რაღაც და ექიმთან ჩამოვიდა.
ოლიკო-რა? ტინუტიტი ხომ არ აქვს?

მოდის მიმტანი.

მიმტანი-რას ინებებთ?
ოლიკო-აუ, მე ამერიკანო.
თებე-მე ის, ახალი რო გაქვთ.
მიმტანი-დესერტი ხომ?
თებე-კი.
მიმტანი-კარგი.

შემოდის თემიკო. გოგოები წამოდგებიან მისასალმებლად.

თემიკო-აქ ხართ? მე სადღაც გვერდზე კაფეში შევედი ,იცით?

ოლიკო- ბიჭო, როგორა ხარ?

თებე-როგორ მომენატრე, შე იდიოტო!

თემიკო-აუ, რა ვიცი რააა! ჩუმად ჩამოვიპარე. გადამდგა საქმე მაქვსო და მოვედი. ექიმთან ჩამოვედი. ყურში ერთი თვეა მაქვს გაუჩერებელი წუილი. ესე მგონია ვიღაც ბებერი ქალი ზის და რაღაცას ქსოვს. გამარეკინა! ეხლა ვიყავი ექიმთან. კაი ამბავი- მაგის მოხსნა შეუძლებელიაო, მაგრამ სადღაც გერმანიაში ხმას შეიძლება ცოტა დაუწიონო.

ოლიკო-მერე? რა უნდა ქნა? პირდაპირ რო დააწევინო?

თემიკო-ხო, ეხლა ველოდები იქნებ თვითონ გაქრეს.

თებე-არ გაინტერესებთ აქ რისთვის შეგკრიბეთ?

თემიკო-აბა, მომენატრეო?

თებე-ეგრეც არ მომნატრებიხარ...

თემიკო(ოლიკოს)-ამისი ირონიულობა ხო მკლავს.

თებე-ახალ კონკურსზე გაიგეთ?

თემიკო-ხო, რაღაცას მოვკარი ყური.

ოლიკო- ვიცოდი,რომ უნდა ყოფილიყო, დაიწყო უკვე?

თებე-კი. მოკლედ, დღეს გავიგე ყველაფერი. ეგეთი ამბავია - თუ გინდათ მონაწილეობის მიღება, ერთ კვირაში მიგაქვს ნაწარმოები, რომელიც უნდა იყოს ამ ფრაზისგან ინსპირირებული...

თემიკო-რა ფრაზისგან?

თებე- “...რომელ ღამეში გავისროლო ჩვენი ვაება,

სადღა გავიქცე, როცა ზიზღი სულს გადაემა” - მაღარმელს ლექსიდანაა, თუ გახსოვთ.

თემიკო: ”ლაჟვარდი” , როგორ არ ვიცი.

Все! Небо умерло. Греховная, в тебе я,
Материя, хочу забыться навсегда
На пастбище твоём угаженном, тупея,
Где разлеглись людей счастливые стада!

ოლიკო: სიმბოლისტებიდან მე მარტო ბოდლერი.

თებე: მე მარტო მაიაკოვსკი.

თემიკო: მე სულ ყველა!

თებე: აბა, რას შვებით? არ დავწეროთ?

ოლიკო: რა უნდა დავწერო? ანუ ზიზღია თემა?

თემიკო:სულის თვისებაა კი. და ნუ, რა ვიცი.დღეს ზიზღი ისეთი თემაა...

თებე:რა თემაა?

თემიკო:ის, რომ ჩემი თემა არაა ანუ...კი, მესმის, დღეს საზოგადოება მაგით არი დატვირთული. სიყვარული რომ იყოს, კი ბატონო , მაგრამ სიმძულვილი ჩემი არაა.

ოლიკო: მე სუნამოებზე ბლოგს ვაკეთებ, ეგ ერთი, და მეორე, ზღაპარი უნდა გადავაპიესო. ესე, ცამოწმენდილზე, რანაირად დავწერო?

თებე:თქვენი არ ვიცი, მე ფული ძალიან მჭირდება.

თემიკო:დაწერე მერე ვინ დაგიშალა?

ოლიკო: ...და თავს ნუ იმართლებ.

თებე:მოკლედ!...

თემიკო:რაზე წერ? იცი რამე მოფიქრებული გაქვს?

თებე:ერთადერთ ადამიანს ვეზიზღებოდი..

თემიკო:ვის?

თებე:..და მეც მძულდა.

ოლიკო:გია სიგუა?

თებე:არა! ვილას ახსოვს.

თემიკო:ეგრეც ნუ იტყვი.

თებე: ეგუს დედა.

ოლიკო:აუ, რამ გაგახსენა?

თემიკო:შენი ყოფილის?

ოლიკო: ხო!

თემიკო:არ ვიცი, არ ვიცნობდი.მაგ დროს, თითქმის ,არ გვქონდა კონტაქტი.

თებე:ხოდა, მაგაზე ვაპირებ დავწერო.

თემიკო:ამბავი მოფიქრებული გაქვს?

თებე:რათ უნდა მოფიქრება, რაც იყო, იმას დავწერ.

ოლიკო:..და საიდან გაგახსენდა?

თებე:აბა, რა გამახსენდებოდა.არა, ისე წესიერად არც მახსოვს.ორი წელია, რაც დავშორდით,მაგრამ ნუ ეგ ფაქტად მახსოვს. არ გვქონდა სასიამოვნო ურთიერთობა.

თემიკო:ჩემგან რას ელოდები? მე არ მინდა, კონკურსის ნერვები არ მაქვს.

ოლიკო:მე წინა კონკურსზე რაც გამიკეთეს და როგორც მატკინეს გული, დიშვილი მყავს დაფიცებული, რომ აღარ გავალ.

თემიკო:...და თქვენ გჯერათ, რომ მწერლობა სუბიექტური არ არის? როგორ უნდა გაარჩიო, რომელი ჯობია? აზრით ,იდეით თუ ფორმით?!

თებე:კარგი რა, ამქვეყნად ყველაფერი გვარდება!

თემიკო:რა გვარდება? ის, რომ იმისი აზროვნება ჩემსას ჯობია?

თებე:ხო, ეგრეა და რა, გეშინია, რომ ჯობდეს ის შენსას და არ უნდა სცადო?!
ოლიკო:აი, როგორ ვიცი, რომ იმ კონკურსში ჩემი ნაწარმოები ბარე ბევრისას
ჯობდა, იცი? მაგრამ ნუ! არ შემეძლია ეს შიდა დინებები. ყველაფერზე ხელის
მოწერა და მერე ანგლოზის სახით სიკეთეზე და სიყვარულზე წერა რომანების და
დამოდღვრა საზოგადოების, რომ ხალხო, ეს არა, ისე ჯობია; ვიყოთ უფრო
ადამიანურები; ვთესოთ სიკეთე. ტყუილია!

თემიკო:ხო, მარა შენ არ ხარ ადამიანი. შენ მწერალი ხარ!

თებე:ერთხელ ჩემს ექსთან ერთად ვიყავი სადღაც და ვიღაცასთან წავიწუწუნე,
იმან მითხრა- “შენ ადამიანი არ ხარ, შენ მწერალი ხარო. “ ნეტა ვინ იყო? ვაიმე,
როგორ გაბრაზდა. მერე სულ მამახებდა-“გშია? მაშინ იმუშავე, რატომ წერ? შენ ხო
ადამიანი არ ხარ, შენ მწერალი ხარო.”

ოლიკო:მე მგონი, ადამიანი უფრო ვარ, ვიდრე მწერალი.

თემიკო:ორივე რომ იყო, გამორიცხავ?

თებე:მთავარია, კატა არ იყო ბნელ ოთახში, რომელიც სინამდვილეში იქ სულაც
არაა.

თემიკო:და სიძულვილს რა ვუყოთ, თებე?

თებე:დავწეროთ სიძულვილზე, რომ მარტივად შეგვძულდეს საკუთარი თავი.

თემიკო:საკუთარი თავი როგორ შევიყვაროთ, მერე მაგაზე დაწერე. მოკლედ,
კორექტურა თუ მოგინდება მე აქ ვარ.

ოლიკო:რასაც დაწერ შევიკრიბოთ ხოლმე და განვიხილოთ. თან ეს დაგეხმარება.
დრო ცოტა გაქვს.

თემიკო:რამდენიმე დღეში ჩამოვალ.

თემიკო გადის.

ოლიკო:რას აპირებ?

თებე:რაც ვთქვი, იმას.

ოლიკო:კარგია.

სიჩუმე.

ოლიკო:რატო ეზიზღებოდი იმ ქალს?

თებე:არ ვიცი... დეტალები მართლა არ მახსოვს, მაგრამ მთავარი მიზეზი როგორც
გავიგე იყო ის, რომ პორნო ლიტერატურას ვწერდი.

ოლიკო:ეროტიული სცენების გამო? ჰაჰ, გადავირევი!

თებე: ხო!..რალა დროს ეგაა თანამედროვე ლიტერატურაში და ზოგადად...

ოლიკო:რატო არასდროს არ ყვებოდი?

თებე:გეფიცები ,ეხლა ტვინს ძალა დავატანე რომ გამხსენებოდა, თორემ გონებაში ჩავკეტე ეგ ამბავი, გავანულე. ამნეხია დავიმართე მაგ პერიოდის.

ოლიკო:ეგ, გგონია, კარგია?

თებე:მაგდენი არ მიფიქრია.

ოლიკო:ახლა ხო სუნამოებზე ვწერ. იქ არის არომათერაპიაზე პატარა თავი.

სურნელით როგორ გახსენდება ადამიანი, სიტუაცია.

თებე:ეგ შენთვის, ალბათ. შენ დღეში იმდენ რამეს ყნოსავ, ცხვირით აგნებ ცხოვრებას, თორემ ჩემთვის არაფრის მომცემია. მთელი ცხოვრება ერთ სუნამოს ვხვდარობ და სახლში კარტოფილი და თევზი თუ იწვება, მაშინ აღვიქვამ, რო რაღაცის სუნი ტრიალებს.

ოლიკო:რამხელა სიამოვნებას იკლებ. აი, მე კიდე ჩემ ზევით ერთი კაცი ცხოვრობს.ლიფტში დილით რომ შევდივარ, ვიცი წასულია თუ არა სამსახურში.

თებე:რანაირად?

ოლიკო:თუ დგას მძაფრი ამბერის სუნი, ესე იგი წავიდა. თუ არა, ესე იგი არა. კარგი გემოვნება აქვს და, სხვათა შორის, სუნამო შეცვალა ერთი თვეა.

თებე:აუ, რეებს აკვირდები!

ოლიკო:ვაკვირდები კი არა მაკვირდებიანება. რა მაგარი სიტყვა მოვიგონე!

თებე:მეშინია!

ოლიკო:ხანდახან შიში კაია.

თებე:მინდა, რომ კარგი გამომივიდეს.

ოლიკო:წერე მერე. დაიწყე.

თებე: ვიწყებ!

სცენა 2.თებეს სახლი.თებე იმზადებს ჩაის.მიუჯდება მაგიდას.გადაშლის კომპიუტერს. იწყებს აკრეფას.მალე ზევიდან გაისმება ფორტეპიანოს დაკვრის ხმა.თებე ცოტა ხანი არაფერს იმჩნევს.ზედა მეზობელი სხვა ნაწარმოებზე გადადის.თებე ცოტა ხანს შეეშვება წერას.ზევით აიხედავს.გრძელდება დაკვრა.თებეს ეტყობა, რომ გაიტაცა მუსიკამ.ისევ უბრუნდება წერას.მუსიკა იცვლება,თებესაც ეცვლება განწყობა.იღებს ყურსაცვამებს (ნაუშნიკებს“), აერთებს.ჩართავს მუსიკას.აგრძელებს აკრეფას.იხსნის.ისევ ისმის დაკვრის ხმა.ნერვები მოეშლება, იღებს ტელეფონს.

თებე: ალო, გამარჯობა, როგორ ბრძანდებით? ჩემს ზევით ვინ გადმოვიდა ხომ არ იცით? ააა, ნომერი ხომ არ გაქვთ? აუ, ჩავიწერ რა, თუ შეიძლება.

თებე იწერს. ტელეფონს იღებს და აკრეფს ნომერს.

ზევით წყდება დაკვრის ხმა.

თებე: გამარჯობა! მე თქვენი მეზობელი ვარ, უკაცრავად, მაგრამ მგონი დაკვრისთვის საკმაოდ გვიანია. მაპატიეთ!

თებე დაკიდებს. სიჩუმეა, იწყებს აკრეფას. ცოტა ხანში ისევ დაიწყება დაკვრა. თებე ნერვებმოშლილი მოიცვამს ჟაკეტს და გადის.

სცენა 3.

ფორტეპიანოსზე მამაკაცი უკრავს ვირტუოზულად. კარზე ზარია. წყვეტს. ალებს კარს.

თებე: გამარჯობა!

დიმიტრი: გამარჯობა!

თებე: იცით, მე ვარ თქვენი მეზობელი. წელან რო დაგირეკეთ...

დიმიტრი: მობრძანდით, თხლად გაცვიათ, გაცივდებით.

თებე: აკი.

თებე უხერხულად შევა სახლში

თებე: მაპატიეთ. რომ არ ვიმუშავო ახლა...

დიმიტრი: დიმიტრი

თებე: თებე

ხელს გაუწვდის

დიმიტრი: თქვენ რომელი მეზობელი ხართ? ბავშვიანი თუ უბავშვო? (თითის ზევით ასწევს) ზევით თუ ქვევით?

თებე:ქვედა.

დიმიტრი:მოზრძანდით რა! გუშინ ძალიან ღრმად გეძინათ.ძილი დარეგულირებული გაქვთ.

თებე:რა?ა,კი! და რატომ მეკითხებით?

დიმიტრი:გუშინაც ვუკრავდი.რამე გაიგეთ?

თებე:არა გუშინ არაფერი... არა ,ცუდად ნუ გამიგებთ.მე ვიცი მუსიკოსისთვის აუცილებელია.

დიმიტრი:არ ვარ მუსიკოსი

თებე:მეხუმრებით?

დიმიტრი:არა.

თებე:რა კარგად უკრავთ!

დიმიტრი:მადლობა.დედაჩემს უნდოდა მუსიკოსი ვიყოფილიყავი.ჩაის დალევთ?

ტებე:არა, ვსვამდი. ... არა და, ალბათ გაცივდებოდა...კი!

დიმიტრი:ეს მუსკუსითაა.

თებე: თქვენ ეხლა გადმოხვედით, ხომ?

დიმიტრი:დიახ. ცოლს გავშორდი და...

თებე:მაპატიეთ.

დიმიტრი:დიდი ხანია ასე გრძელდება.მხოლოდ ბავშვის გამო ვიყავით ერთად

თებე:მერე?

დიმიტრი:ბავშვი გაიზარდა და გვთხოვა, აღარ გვეწვალა და დავშორებოდით.

თებე: სად მუშაობთ?

დიმიტრი:ფსიქოლოგი ვარ.

თებე:აჰა!

დიმიტრი:რატომ გაგელიმათ? ფსიქოლოგებსაც ენგრევათ ოჯახი და დერმატოლოგებსაც აყრით სახეზე.

თებე:მე არ მითქვამს, კი არა და, არ მიგულისხმია ეგ.

დიმიტრი:თქვენ?

თებე:მე ...მე ამჟამად ესე ოფიციალური სამსახური არ მაქვს.ადრე სცენარისტი ვიყავი და კულინარიულ ჟურნალში ვწერდი.

დიმიტრი:ესე იგი, კულინარია გეხერხება.

თებე:უფრო წერა.

დიმიტრი:შენ ლევანის შვილი ხარ?

თებე:ხო...კი

დიმიტრი:აა ახლა გამახსენდა.აი ,ვინაა მაგარი მწერალი.

თებე: ხო,კი

დიმიტრი:მიხარია. შენც წერ.ნუ ეს ბუნებრივია.

ტებე:რატომ არის ბუნებრივი?არ შეიძება, არ ვწერდე?

დიმიტრი:არა, რა თქმა უნდა, შეიძლება. უბრალოდ, რომ წერ, ეს უფრო ბუნებრივია.

ტებე:ახლაც ვწერდი, თქვენ რომ არ შეგეშალათ ხელი.

დიმიტრი:მაპატიეთ.

თებე:პირიქით, მე მაპატიეთ.არა, მართლა არაჩვეულებრივად უკრავთ..პრინციპში დაუკარით, მერე შეიძლება შევეჩვიო კიდეც. უბრალოდ, კონცენტრირება მჭირდება.როგორ აგიხსნათ...

დიმიტრი:რა უნდა დაწეროთ?

თებე:ნაწარმოები ზიზღზე და სიძულვილზე.ნუ, მე არ ამირჩევია, ასეთია კონკურსის წესი.

დიმიტრი:საინტერესოა...

თებე:კი საინტერესოა,მაგრამ, როგორ გითხრათ...

დიმიტრი:შეგიძლია, შენობით მელაპარაკო.

თებე:მადლობა.გადავწყვიტე იმ ზიზღზე დამეწერა, რასაც განიცდიდნენ.

დიმიტრი:ანუ?

თებე:...ანუ ის, რომ გამოგონილზე არასდროს ვწერ.

დიმიტრი:ცხოვრება საუკეთესო გამომგონებელია.

თებე: გამოგონილი ზიზღი.აჰაჰ! არ არსებობს ასეთი.

დიმიტრი:ხო ,ალბათ.

თებე:ერთი ქალი ვერ მიტანდა.ეს იყო ჩემი შეყვარებულის დედა. ეს ვიცი ,მაგრამ ვერ ვიხსენებ სიტუაციებს, რო მიზეზს მივაგნო.არა, ასე ფაქტი მახსოვს იმის გამო, რომ პორნო ლიტერატურას ვწერდი და ეს არ ესმოდა და მიუღებელი იყო.ამომიძულა.

დიმიტრი:ალბათ აქვს იმასაც გამართლება.არა?

თებე თავს აქნევს.

დიმიტრი:ხვალ ჩემთან მოდი თერაპიაზე.ვეცდები გაგახსენო. თუ შენი სურვილი იქნება.

თებე:იქნება, კი!

დიმიტრი:მაშინ 10 საათზე.

თებე:კარგი!

სცენა4

კაფე.თებე ოლიკო

ოლიკო:...სულს რომ სუნი ჰქონდეს, ის აუცილებლად მოჰკელის სუნელს ატარებდა.კანის შიგნით ჩაძვრება ..გულამდე ატანს ყვავილების ნოტები.შენ

სუნთქავ ჰაერს და ჰაერთან ერთად დაუოკებელ სურვილებს. შენ ცხოვრობ გალაპაგოსის ერთერთ კუნძულზე, სადაც ოკეანეში ვეშაპებთან ერთად შეგიძია ცურვა. დილით ბრიზს ზღვის მარილის და იმ იშვიათი ყვავილის სურნელი მოაქვს, რომელიც მხოლოდ მოეპელებზე ხარობს.

ოლიკო დახურავს ბლოკნოტს;

თებე:რა მაგარია! რომელი სუნამოა ეს

ოლიკო:დიპტიქის..

თებე:სად ვნახო.

ოლიკო იღებს პატარა ბლოტერს ჩანთიდან და თებეს ცხვირთან მიუტანს.

თებე:გავგიჟდი!

ოლიკო:მართლა არაჩვეულებრივია.

თებე: კიდევ დავსუნავ.

თებე: რატომ არ ყიდულობ?

ოლიკო:იცი რა ღირს? მიდი, დაიწყე კითხვ ა.

ტებე:რა კითხვა.არაფერი დამიწერია, საერთოდ არაფერი.ვერ! არაფერი არ მახსენდება.ჩაკეტილი მაქვს.

ოლიკო:ჩაკრა?

თებე:ჩაკრაც და ტვინიც.მთელი ღამე ვფიქრობდი.

ოლიკო:მერე?

თებე:მერე დამემინა.იმიტომ, რომ არაფერი მომაფიქრდა.რადაც რომ დაწერო ემოცია ხომ უნდა მოდიოდეს?ვერ ვიხსენებ!

ოლიკო:გაგახსენდება,

თებე:ხანდახან, ეგუც არ მახსენდება.თვალეებს დავხუჭავ და ხმასაც ძლივს აღვიდგენ .გუშინ ნახევარი საათი გონებაში ვაწყობდი ეგუდიელის ვიზუალს. უბრალოდ, ფაქტი მახსოვდა შავი თავლები რომ ჰქონდა და ფოტორობოტი ავაწყვე ტვინში. რანაირად ხდება ასე...მისი ხმა მახსოვს მარტო.წვრილი და ლაპარაკის დროს წინადადების ბოლოს კიდევ ზევით ადიოდა და ბავშვით გაიცინებდა ხოლმე ჩემს ხუმრობაზე. დედამისი ვიცი რანაირიც იყო ,მაგრამ როგორ გამოიყურებოდა აღარ მახსოვს.

ოლიკო:რატო წვალობდი, სურათს ვერ დახედე?

სიჩუმე

ოლიკო:ხშირად ხვდებოდი დედამისს?

ტებე:თითქმის- არასდროს.

ოლიკი:რა?

თებე: 3 წლის მანძილზე ალბათ 3 ჯერ მაქვს თვალი მოკრული.

ოლიკო:ნამდვილად ერთად იყავით შენ და ის ბიჭი?

თებე:კი, ნამდვილად!

სცენა 5.

ეგუდიელი და თებე თებესთან

ეგუ:შენ, შენ ხარ ასეთი!

თებე:რანაირი?

ეგუ:ხატს ამოფარებული იდექი და არც გაგიხედავს!!!

თებე:სად უნდა გამეხედა?

ეგუ:არსად! არსად!

თებე:ჯვრისწერა იყო და ვუყურებდი წყვილს.და რომ მოვიდნენ მამიდაშენი და დედაშენი, შეეძლოთ ცოტა, ოდნავ თბილად ეთქვათ რაღაც.გამარჯობა- მაგალითად.

ეგუ: შენ ვერ შეგითანხმებდნენ სიტბოს გრადუსს.

თებე:არცაა პრობლემა! ხომ არაფერი მითქვამს? ზიზღით სავსე მიყურებდა ყველა შენიანი, თითქოს ვინმე მოვკალი.

ეგუ:რანაირად ლაპარაკობ? შენ ვერ იტან იმათ, განა ისინი ვერ გიტანენ შენ.

თებე:მე? მე დავიწყე? რა შუაშია.პირველად ხდება ასე ეგუ? 2 წელზე მეტია ერთად ვართ.ერთხელ მაინც,ერთხელ უკითხავთ რამე? არა! რატომ? იმიტომ რომ მათთვის არაფერი არ ვარ!არაფერი! ნული ვარ და ლოცულობენ იმაზე, როდის დავშორდებით.დედაშენი ყოველ დღე იმიტომ შემოდის სოც. ქსელში, რომ გაიგოს წამშალე თუ არა, რომ მისი დღე შედგეს და გაბედნიერდება ამით.

ეგუ:ამჩნევ რა გარეკილი გაქვს? ბოლმას ასხივებ.

თებე:სიმართლეა ეს .არ იყო ასე? რამდენჯერ შეიძლება დავბრმავდე? რამდენ ხანს შეიძლება დავხუჭო თვალი? რამდენჯერ უნდა მეტკინოს გული? რას ვერ მპატიობს დედაშენი?

ეგუ:დედაჩემზე ცუდი არაფერი თქვა!

თებე: ღორი!

ეგუ:ეს ისე თქვი? ჩავთვლი რომ ისე თქვი!

თებე:არაფერი არ ჩათვალო! გულით და სულით ვთქვი.

ეგუ:როგორ შეგიძლია ასე?

თებე: მაპატიე! მაპატიე! ყველაფერს შენ გამო ვითმენ. არასოდეს არაფერი ხომ არ მითქვამს მათთვის?! არაფერი!ცხვირწინ კარი რომ მომიხურა დედაშენმა, მაშინაც ხომ არაფერი არ მითქვამს და არასოდეს არ ვეტყვი.იმიტომ,რომ შენ ყველაფერი ხარ და არ მიმატოვო, გთხოვ, იმის გამო, რომ იმათთვის არ ვარ სასურველი.შენთვის ხო სასურველი ვარ?

ეგუ:ჩემთვის ყველაფერი რო არ იყო, როგორ ფიქრობ, ამას მოვითმენდი?

თებე:რას? რას ითმენ იმას რომ გაიძულევენ ჩემთან დაშორებას?ამას? არ მჯერა! არა, მართლა არ მჯერა! დღეს ჩავიცვი.იცი ყველაფერი განსაკუთრებული ჩავიცვი.რაც არ მქონდა ვითხოვე და ღამეები ვათენე მკერავთან, რომ ლამაზი კაბა მქონოდა- იქნებ ცოტათი მაინც მოვწონებოდი.შიგნიდან ვბრწყინავდი,მიხაროდა.მერე ტაძარში ისე მიყურებდნენ ...ვიღაცას ამოვეფარე და ტირილი დავიწყე. ისე მიყურებდნენ, რომ არაფერს აზრი არ ქონდა.ჩაქრა თითქოს,ჩაკვდა ყველაფერი.ჩაიწვა და დაიხურა.მივხვდი რომ არაფერს აზრი არ აქვს. არც კაბას !არც მე!მაგიდასთან რომ ვისხედით მამიდაშენი სპეციალურად გადმოჯდა და მოყვა როგორ დაშორდა პოეტ დეა პაპანდოპოლოსს ქმარი იმიტომ, რომ ის ბოზი იყო.ქმარმა კი არაჩვეულებრივი გოგო იპოვნა, პატიოსანიო.მივხვდი, რომ ეს ყველაფერი რასაც ლაპარაკობდა, ჩემზე იყო. ჩემი მისამართით იყო გადმოფურთხებული.არც გული გავიტეხე გული, უკვე გატეხილი მქონდა.არც მიტირია! უბრალოდ ჩემი დედაც მოვტყან- მეთქი ვთქვი.

ეგუ:ღირსი ხარ!

სცენა 6.

თებე და დიმიტრი

თებე:გამარჯობა!

დიმიტრი:გამარჯობა! აბა, როგორ ხარ?

თებე:ალბათ, კარგად.

დიმიტრი:არ იცი?

თებე:ვიცი, მაგრამ ვღელავ.

დიმიტრი:მოეშვი.

თებე:ისეთ შეგრძნება მაქვს, რომ...

დიმიტრი:რომ?!

თებე:არა არაფერი. რა უნდა ვქნა, აქ უნდა დავჯდე?

ტახტზე მიუთითებს.

დიმიტრი:სადაც გინდა, იქ დაჯექი.

თებე:რა უნდა ვქნა? უნდა ვილაპარაკო?

თებე იცინის

დიმიტრი:თუ გინდა ,უნდა ილაპარაკო.

თებე:თქვენ კითხვები არ უნდა დამისვათ?

დიმიტრი:ისუნთქეთ და ნუ ხართ დამაბული

თებე სუნთქავს და ამთქნარებს.

დიმიტრი: მოდი მომიყევით თქვენს ურთიერთობაზე

თებე:სად შევხვდით თუ რა?

დიმიტრი: ყველაფერი.

თებე: ჩვენ 8 ნოემბერს გადავწყვიტეთ, რომ ერთად ვიქნებოდით.

სცენა7

ეგუ.თებე.

ეგუ: ნახე რა აბრაა? დასახლებული პუნქტი. ნორიო.

თებე: მოდი აი, ეს იყოს ის ადგილი, საიდანაც ერთად ვიქნებით. აქედან ერთად გავივლით ცხოვრების მთელ გზას.

ეგუ: მპირდები?

თებე:გპირდები!

თებე :დაიფიცე

ეგუ:დედას ვფიცავარ!

თებე: მეც გეფიცები რომ ასე იქნება.

ეგუ:არაფერი აღარ იქნება ასე...შენც ბედნიერი იქნები და მეც ბედნიერი ვიქნები.

თებე:გჯერა ბედნიერების?

ეგუ:მინდა მჯეროდე და ხომ შეიძლება მჯეროდეს?

თებე:აუცილებლად უნდა გჯეროდეს რომ მეც დამაჯერო.

ეგო:შეგიძლია შენც დაიჯერო.

თებე:დამაჯერე.

ეგუ:ხელები გაგითბა?

თებე:არ მქონდა ცივი

ეგუ:მაპატიე, დღეს რო დამაგვიანდა.

თებე:გეშინია?

ეგუ:მარტო შენი დაკარგვის.მაგრამ მაგასაც მივეჩვიე.ვეჩვევი დღეში სამჯერ მპირდები ხოლმე ამას.

თებე:ეჩვევი ამ გრძნობას და აღარ გეშინია.

ეგუ:არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

თებე:აბა რაზე გინდა?გინდა ვიოცნებოთ?

ეგუ:არ მინდა! არ მიყვარს ოცნება.სინამდვილე მირჩევნია.შენ რაზე ოცნებობ?

თებე:მერე გეტყვი.

ეგუ:მერე როდის?

თებე:ზუსტი დრო გაინტერესებს?

ეგუ:კი

თებე:7 თვესა და 8 დღეში

იცინის

ეგუ:რა გატირებს?

ტებე:რა დებილობაა ეს ტირილი.

ეგუ:რაც ბეზიაჩემი გარდაიცვალა არ მიტირია.

თებე:უცნაურია.

ეგუ:ხო?

თებე:მგონი უცნაურია.

ეგუს ურეკავენ.

ეგუ:ხო

ყურმილიდან ისმის ჩხუბის ხმა.ეგუს სახე ეცვლება თიბეს უყურებს. ეგუ სიტყვის ჩაგდებას ვერ ახერხებს

თებე ფსიქოლოგთან: მერე დედამისმა დაურეკა და თავზე დაამხო ყველაფერი.სად ხარ? არ მოდიხარ? მალე მოდი. ვისთან ხარ? ეს იყო პირველი პაემანი, როცა რაღაცნაირად ჩვენთვის დავარქვით, რომ ერთად ვიქნებდით.მე ნევროზი მქონდა.მუჭით წამლებს ვსვამდი.თითქმის არ ვწერდი და არ მეძინა.

ფსიქოლოგი:ნევროზი რატომ დაგემართა?

თებე:რთული პერიოდი მქონდა.ძალიან რთული

ფსიქოლოგი: თვალები დახუჭე.წარმოიდგინე ეგუდიელი.სად გტკივა?

თებე:აი აქ.(თვალზე ხელს იდებს) აი, აქედან თითქოს რაღაც ჩადის გულში.იქ სიცარიელეა.

ფსიქოლოგი:წარმოიდგინე დედამისი.

თებე:წარმოვიდგინე!

ფსიქოლოგი:სად დგას?

თებე:სადღაც ჩვენ შორის.სახეს ვერ ვხედავ თითქოს არ აქვს, თითქოს შავია.ჩვენკენ იშვერს ხელს.

ფსიქოლოგი:ახლაც სძულხარ?

თებე:კი, ახლაც.(ტირილს იწყებს) რატომ ვძულდი ასე?რატომ?(გულამოსკვნით დაიწყებს ტირილს) მე ხომ არაფერი არ დამიშავებია.როგორ გამიმეტა ასეთი

სიტყვებისთვის. მეგონა, ხელს მიყოფდა გულში და წურავდა. მტკენდა. მასაც ხო ჰყავს გოგო. ნუთუ მას რომ ასე ვინმე მოექცეს, მოეწონება? თუ მე გული არ მაქვს და მართლა უგულო ვეგონე. ვხედავდი, როგორ უნდოდა დაეჩეხა ჩემი გული.. ღვარძლი და შხამი გადმოდიოდა მისი თვალებიდან, შორიდან მიყურებდა, ჩუმად ამათვალ-ჩამათვალა იერებდა, როგორც საქონელს, როგორც დეკეულს, როგორც უსულო პირუტყვს, რომელმაც უნდა მოიმაკოს და გააჩინოს. სახლში უნდა ეგდოს. ჭურჭელი რეცხოს. იბლავლოს და იარსებოს. მერე ჩუმად ეგდოს. მისი სიძულვილი კილომეტრში მწვდებოდა. ის იყო მწვანე და გამჭვირვალე ჟელესავით, რომელიც დაყვებოდა ამ ქალს და გლისავდა ყველას ვინც არ უყვარდა. მე მტკენდა, რომ მიყურებდა, თითქოს, გაყურების გარეშე კბილს მიბჟენდნენ. სხეული მტკიოდა და რამდენჯერ მყავს ნანახი, მკითხეთ? სამჯერ ხუთ-ხუთი წუთით.

ფსიქოლოგი: საიდან იცი, რომ ვერ გიტანდა

თებე: ჩემი წიგნი ახალი გამოსული იყო. ყველას უხაროდა. მეც მიხაროდა ყველა მაქებდა. ეგუდიელსაც უხაროდა. პრეზენტაციის მერე მანქანაში ჩავსხედით, ტელეფონს დავწვდი მისას რო მიმეწოდებინა და, არ ვიცი რატომ, წავიკითხე. ასტიგმატიზმი მაქვს, მაგრამ მაინც დამაინც დამიბრუნდა თვალის ჩინი. იქ გარკვევით ეწერა: "ნობელს აიღებს ეგ მაგ პორნოგრაფიაშიო". ცუდად გავხდი.

ეგუ: სად მიდიხარ?

თებე: აღარ დამირეკო და არაფერი არ მითხრა, არაფერი! გაიგე?

ეგუ: მაპატიე. მე მაპატიე რააა...

ტებე: როგორ? მითხარი, მასწავლე, როგორ? ქალს ყოფნის თავხედობა და გწერს დღეს, როცა უბრალოდ ბედნიერი უნდა ვიყო. შეიძლება, რომ რაღაც დღეები აიღოს და, გაჩუმდეს?

ეგუ: არაფერი არ თქვა, გთხოვ, შენ არაფერი არ იცი.

თებე: შენ ხო იცი ყველაფერი? შენ ხომ იცი? რატომ აკეთებს ასე?

ეგუ: მაპატიე. მოდი! აჰა გადამიარე! მოდი!

თებე: ჩემებმა მიგიღეს იმიტომ კი არა, რომ თვლიან მაინც დამაინც შესაფერისი წყვილი ვართ, არა!!! იმიტომ, რომ ვერავინ ვერ გამიბედავს რამის თქმას. ვერც დედაჩემი და ვერც მამაჩემი.

ეგუ: და რა უნდა თქვან? მე არაფერი არ დამიშავებია.

ფსიქოლოგი: თებე.

ფსიქოლოგი: და რატომ არ კითხე მე რა დავაშავე თქო?

ტებე:არ ვიცი...(ტირის)

ფსიქოლოგი:თვლი, რომ რამე დააშავე?

თებე:არ ვიცი ეტყობა გაუცნობიერებლად ვთვლი! მაჯერებდნენ, რომ მე ვარ ცუდი.ყველაზე ცუდი..იმიტომ, რომ ერთი ეროტიული სცენა დავწერე მთელ მოთხრობაში.რომ ეს მიუღებელი იყო,რომ მეც გავიგივდი ამ გმირში და რომ მეც ასეთი ვარ... ერთი სცენის გამო შეარქვეს პორნოგრაფია.

ფსიქოლოგი: შენ ვერ დაიცავი შენი თავი.

თებე:მე ვერ დამიცვა იმან, ვინც ჩემ გვერდით იყო.დედამისის სიძულვილისგან ვერ დამიცვა.თვითონაც არ ჯეროდა და იმიტომ.

ფსიქოლოგი:თქვი, რომ გძულს

თებე:მძულს! მე ის მძულს! მეშინია ამას რომ ვამბობ.

ფსიქოლოგი:რისი გეშინია?შენ უფლება გაქვს გძულდეს.

თებე: ხანდახან იმისიც მეშინია, რომ არ მძულს, ამასაც ვიგონებ და ეს არაა სწორი! მათ მომაყენეს შეურაცხყოფა, მე ისინი უნდა მძულდნენ.

ფსიქოლოგი:ახლა შენ ეთანხმები იმათ და თავს იდანაშაულებ. გაქვს უფლება ისეთი იყო, როგორც ხარ.არ გინდა ეს კარგი გოგოს თამაში. ამ თამაშ-თამაშში შენ თვითონ შეხვედი ამ როლში, მსხვერპლის როლში და ვერ გაიგე თუკი მათ მოსაწონად იქცეოდი, რატომ არ..

თებე:ვერასდროს გავუგებ იმ ქალს, ვინც ნაფოტებად აქცია ჩემი სიყვარული, მერე შეჭამა,ჩაყლაპა და გადმომაფურთხა.და თან ამას შვილის სიყვარულის სახელით აკეთებდა, რომ ეხსნა ჩემნაირი ადამიანისგან.ჩემნაირი მონსტრისგან

ფსიქოლოგი: და იქნებ საქმე სხვა რამეშია.საკუთრი თავი დაიდანაშაულე, რომ ვერ მოუარე.

თებე: საკუთრი თავის სიყვარული თუ არ შეგიძლია, სხვას როგორ შეიყვარებ.მარტივია, რამე ღრმა ფსიქოლოგიურს არ ვამბობ.

ფსიქოლოგი:ხანდახან სიყვარულისთვის ისე ცოტა ვართ. გაგახსენდა? ახლა სამამდე დავითვლი და თვალს გაახელ.ერთი,ორი,სამი.

თებე:სულ ეს იყო ?ეს ყველაფერი...?

ფსიქოლოგი:ახლა ბევრი რამე გაგახსენდება.ეცადე , ხვალამდე დამშვიდდე.

თებე: არ ვიცი როგორ უნდა დავმშვიდდე.

ფსიქოლოგი:შენ გინდოდა გაგხსენებოდა. ხოდა გაგახსენდა.

თებე:ზუსტად ისე ცუდად ვარ ,როგორც მაშინ. თან გული მერევა.

ფსიქოლოგი:შენი სურვილი იყო გაგხსენებოდა.

თებე:მე მეგონა მორჩა, დამთავრდა (ტირის). როგორ მეგონა, რომ აღარ მალეღვებდა.გამივლის? მითხარით, რომ გამივლის!

ფსიქოლოგი:დაწერე.ისე, ეს საუკეთესო რამ გაქვთ ხელოვან ადამიანებს, რაშიც ხდება ამდენი ენერჯის სუბლიმაცია.

თებე: ეს საუკეთესო შურისძიება იქნება.

ფსიქოლოგი:ნუ ფიქრობ შურისძიებაზე. სამყარო დაუსჯელს არავის დატოვებს.

თებე:აი,ეგ მე არ მანუგეშებს.

ფსიქოლოგი:სეანსი დამთავრებულია

სცენა 8.

კაფე ელიკო თებე

ოლიკო:(დიღინებს)თებერვალი დადგაო და ცამ იცვალა ფერი. მე კი ისევ მარტო ვარ და გელი.ესე ჩუმათ უნდა იჯდე? მიდი, წაიკითხე.კიდე არ დაგიწერია?

თებე:საერთოდ არ ვიცი რა ვქნა...

ოლიკო:გეხვეწები რა! ისედაც თეატრიდან მოვიდვარ ეხლა.ჭიქას უფრო მეტი ტექსტი რატო დაუწერეო, კარადის შემსრულებელი მსახიობი მეუბნება. მერე ვიჩხუბეთ.ვეუბნები, კარადა საერთოდ არ არის ნაწარმოებში, მე გამოგიგონე-მეთქი. არა, ჩემი ხაზი ასე განავითარეო, თავისი ვერსია მომიტანა ზღაპრის განვითარების,სადაც კარადას უყვარდება მარტორქა.

თებე:ვაი,მე, ღმერთო, ზოგს რა პრობლემები აქვს!

ოლიკო: აბა? მესამე სცენაში კარადა ქრება.

თებე: რამე შენეულ ვერსიას წერ მაგ ზღაპრის?

ოლიკო: არა. აღსარებაში ვიტყვი ოდესმე, სიკვდილის წინ მოვინანიებ. მართლა ისე შემიჭამა ტვინი, მივედი რეჟისორთან და ბატონო გურამ კარადა რო გაქრეს პირველი სცენის მერე-მეთქი და უჰ! სად არის სნაიპერიო და მოკლა იმავე სცენაში.

თებე: (ტირის) რა უნდა სნაიპერს ზღაპარში?

ოლიკო: კაი, მაპატიე რა! რა ვთქვი ასეთი. არ შეჭამ შენ საყვარელ დესერტს. არა? კაი გასაგებია! ისე ვთქვი ანუ ალეგორიულად სნაიპერი. ლიტერატურული სნაიპერი, ანუ მწერალი, ანუ დრმატურგი, რომელიც ოჰა! და აქრობს. კლავს.

თებე: ნუ ამბობს ამ სიტყვას ლამაზად!

ოლიკო: ლამაზად რა...

თებე: ნუ მატენი ამ რაღას, გთხოვ. გუშინ ფსიქოგთან ვიყავი თერაპიაზე და ყველაფერი გამახსენდა. მთელი ღამე გავათენე. რა ჯანდაბა მინდოდა. ორი წელია დავშორდით, ორი. რატომ გავიხსენე თავიდან. რატომ ავიჩემე?

ოლიკო: დალიე წყალი რა...

თებე: გეფიცები ისეთი რაღაცეები გამახსენდა, გული მეგლიჯება.

ოლიკო: გინდა დამამშვიდებელი?

(ოლიკო აიღებს ჩანთს და ამოაქვს კოსმეტიკის კოლოფი)

თებე: ეხლა რას შვები, უფრო მაღიზიანებ ?

ოლიკო: ვაიმე... არაფერს.

ოლიკო აბრუნებს "კოსმეტიკას".

ოლიკო: სად არის, იცი?

თებე: ვინ?

ოლიკო: ეგუდიელი

თბე:რა ვიცი რააა! არნაირი კონტაქტი არ მქონია.ტიპს ვერ ვიხსენებდი. კარადაში სადღაც 7-ჯერ გადაკეცილი, დახვეული და შეჩურთული რომ არის რაღაც ზედა.ზუსტად ისეა ეგ ამბავიც. რომ გამოიღებ და ვერც იხსენებ ისეთი დაჭმუჭნულია.ვერ ხვდები რა არი.იმასაც ვერ ხვდები შენია თუ არა.

ოლიკო:დედამისი

თბე:უფ!... თუმცა დედამისი უფრო კარგად მასოვს.გჯერა?

ოლიკო:რადგან ასე ამბობ მჯერა. დაუჯერებელი რა არის, მაგ ქალზე წერ.

თბე:შეიძლება სიყვარულზე ძლიერი იყოს სიძლვილი?

არა, უბრალოდ, კი არ გეკითხები მაინტერესებს შეიძლება თუ არა.

ოლიკო:მე მხოლოდ მყვარებია.სიძულვილით არავინ შემიძულვებია.რომ არსებობს სიძულვილი, იმიტომ არსებობს ომი.მარტივია.

თბე:იქნებ კიდევ მიყვარს და ამიტომ ეხლა დავეტაკე დედამისს და ვადანაშაულებ.

ოლიკო:დედამისი ბრალი რა არის, ნუ გადამრიე.მთავარი პრობლემა ამ ბიჭშია.და რას გაძლევს საერთოდ ეხლა ამის ქექვა? თუ დაწერა გინდა დაწერ ისედაც. რამე მოიფიქრე? მოთხრობაზე ფიქრობ თუ არა?

თბე:კი. ჩემი გადაჩუქურთმებული ფრაზები ამ მოთხორბას არ მოუხდება.

ოლიკო:საინტერესოა...

თბე:პირველად ვწერ მშრალად. მხოლოდ ფაქტებს ავლწერ,მაგრამ ეს იქნება საშინელება.

ოლიკო:ამბავი მომიყევი.

ტბე:მოკლედ ასე..მსახიობი გოგოა მთავარი პერსონაჟი, რომელსაც ყავს საქმრო.საქმროს ოჯახი: დედა, მამა, ძმა.გოგო სპექტაკლში ერთ-ერთ სცენაში იხდის.ამის გამო გაიფენენ ფეხქვეშ.

ოლიკო:აუ,მაპატიე რა რაღაც უნდა გითხრა.ნასახი არაა სიმართლის.თითიდან გამოწოვილია.

თბე:რა არის თითიდან გამოწოვილი რა, ჩემი ამბავი ასე არ იყო?

ოლიკო:იცი, როცა მიყვებოდი და ახლაც, მგონია რომ იგონებ. შენი ფანტაზიაა და არ მჯეროდა რომ დღეს, როცა მარსის კოლონიზაცია მიმდინარეობს,აიფონ 11 არსებობს. მართლია მე არ მაქვს ,მაგრამ ხო არის? აქამდე მივიდა კაცობრიობა. შენ

21-ე საუკუნეში უნდა დაწერო მოთხობა, სადაც ვიღაცა აიგივებს შესრულებულ პერსონაჟთან მსახიობს. აი კაი რაა! გითხრა სიმართლე? მე შენ ადგილას შემრცხვებოდა და დავმაღავდი.

თებე: მცხვენოდა იცი? ძალიან მრცხვენოდა განსაკუთრებით მამაჩემის.

ლევანი: შენი წიგნი მომეცი.

თებე: არ მინდა წაიკითხო.

ლევანი: ვიცი, არც მე მინდა წავიკითხო. წინა წიგნი რომ წავიკითხე ცუდად გავხდი. ასე მეგონა, შიშველს გიყურებდი. ჩემთვის რომ გეთქვა გეტყოდი, შვილო, ამას საზოგადოება ვერ გაიგებს და არ გინდა-მეთქი, მაგრამ, როგორც მწერალს გეტყოდი, რომ ყველაფერი გააკეთე.

თებე: მამა მითხარი ამაყობ ჩემით?

თებე ტირის.

ლევანი: რა გჭირს?

თებე: ეგუს მშობლებმა წაიკითხეს და ჩემ გამო ცხვენიათ. არ მოიეწონათ. მართალა ცუდია? მამა, მართლა ასეთი ვულგარულია ჩემი ტექსტები?

ლევანი: თუ ვერ დაინახეს იმის იქით რაცაა, თუ შენი დიდი ნიჭი ვერ დაინახეს, თუნდაც იმ სცენაში სადაც სექსი აქვთ, არ იციან. ვერ ხდავენ, არ ესმით. თუ არ ესმით, არ უნდა განერვიულებდეს. ბრმას რომ დანახვა აიძულო, იგივეა. სიგიჟეა!

თებე: როგორ შეიძება არ ვიღელვო. გვცხვენიაო! უნდა ამაყობდნენ და გვცხვენიაო!

ლევანი: პატარა ხარ.

თებე: რატომ არასოდეს არ დაგიცვივარ, მითხარი? არც მწერლებთან არასდროს გითქვამს, რომ ამ ფსევდონიმის იქით არის ჩემი შვილი.

ლევანი: არ მჭირდებოდა, ისედაც ვიგებდი მათ აზრს. ისინი არ იპრანჭებოდნენ და გულწრფელად მეუბნებოდნენ თავის აზრს და ეს აზრი ურყოფითი არასოდეს ყოფილა.

თებე: და უარყოფითი რომ ყოფილიყო, დამიცავდი?

ლევანი: რისი გაგება გინდა? მწერალი თუ გინდოდა ყოფილიყავი, ხარ!.. და თავი დაიცავი თავად! გაიგე და იპოვნე ახალგაზრდა ჯეინ ოსტინ?!

თებე: გახსოვს, როგორ მეთამაშებოდი ბავშვობაში? ორმოცსიციხიანს წამაკითხე ბიძია თომას ქოხი.

ლევანი: სიციხემ კიდევ აგიწია და დედაშენმა კინალამ მომკლა. წავედი მე ლექციაზე.

ლევანი გადის ოთახიდან.

თებე: აუ, ლევან როგორ მინდა, რომ დამიცვა, ლევან! ლევან მოდი რაღაცას გეუბნები, ლევან! სად წახვედი, რაღაც მინდა გითხრა. აუ, ლევან, მოდი, გთხოვ , გეტყვი...

ლევანი კედელს ამოფარებული დგას და ხმას არ სცემს. სახე ელუნება. ჩუმათ იპარება სახლიდან.

თებე. ოლიკო

თებე: მაგრამ იცი რას მივხვდი? რისი უნდა მრცხვენოდეს, რომ მიყვარდა ბიჭი, რომელსაც ასეთი დედა ყავდა? არა! არ შემრცხვება სიყვარულის ვისი რა საქმეა?

ოლიკო: საკუთარ თავს ელაპარაკები? მე თუ მკითხავ, დედამისთან ეგუდიელს საერთოდ ვერ ვაკავშირებ.

თებე: რანაირად იყო მისი შვილი?

ოლიკო: ჩვეულებრივად! სიყვარული ფაქიზს ხდის და რაღაც გამოცდილებას ამღვეს ადამიანს. ზრდის , უფრო ეფექტურს ხდის.

თებე: რას უზამდა დედამისს? შეიძლება ავირჩიოთ შეყვარებული, მეგობარი, მასწავლებელი. აი, მეზობელს და მშობლებს ვერ აირჩევ.

ოლიკო: ზუსტად. ჩემი მეზობელი იყო ერთი ქალი, ყავდა ქმარი. ყოველ დღე ცემდა ტიპი. გახსოვს, ჩემი მოთხრობა “ კარტოფილი და ბრილიანტი”? იქ რო კაცი მოკვდება . მაგზე მაქვს დაწერილი. მართლა გამეხარდა რომ მოკვდა და მცხვენოდა ამ სიხარულის. მიხაროდა რო ამ ქალის კვნესას აღარ გავიგებდი.

თებე: ოლი! მიშველე...

ოლიკო: გიშველი, დაგეხმარები, მაგრამ შენ მაგივრად მე ვერ განვიცდი, ვერ დავწერ .

ტებე: კი, დავწერ , მაგრამ გჯერა რომ ნერვები არ მყოფნის? ცუდად ვხდები. ვუყურებ კომპიუტერის ეკრანს და ვერ ვხედავ.

ოლიკო: წერა გიშველის.

თებე: არ მშველის! სულ ვირევი!

ოლიკო: რას ფიქრობ?

თებე: როგორ უყვართ დედებს შვლები ასე ავადმყოფურად?

ოლიკო: თებე ხარ და უკეთ უნდა იცოდე, ოიდიპოსს თავისი ცხოვრების გზა შენში აქვს გავილი. აუ, რა მაგარი ფრაზა ვთქვი ამას ჩავინიშნავ,

თებე: ლევანმა რომ ეს სახელი დამარქვა ხვდები, რომ ამას მთელი დელფოსის სამისნოში ნაწინასწარმეტყველიც მოაყოლა?

ოლიკო: აუ, როგორ მიყვარს ლევანი.

თებე: ანტვერპენშია, თავის ახალ რომანზე მუშაობს.

ოლიკო: რაზე წერს?

თებე: ქვიარ დრამაა.

ოლიკო: ლევანიც?

თებე: რაც იყიდება იმაზე წერს. რაც სინამდვილეა კარგად იყიდება. კარგად ვართ მამა-შვილი. მე ვწერ დედა-შვილიზე, ის მამა-შვილზე.

ოლიკო: მე ზღაპარს ვწერ. მოგიგეთ!

თებე და ეგუ

ეგუ: მასწავლე ვალსი.

თებე: რატო აიჩემე?!
ეგუ: დღეს რომ ცეკვავდნენ ქორწილში ესე მეც ვიზამ.

თებე: პატარა ხარ...

ეგუ: 28 წლის ასაკში პატარა აღარ ვარ.

თებე: აბა, რა ხარ რა?

ეგუ: აბა, რა ხარ რა?

კოცნიან ერთმნეთს

ეგუ: დალიე?

თებე: ორი ჭიქა. სამი ბოთლი დალია თამარამ, შენმა უფროსმა. დავინახე, ჩემ გვერდით იჯდა.

ეგუ: კი ეგ მაგრად სვამს.

თებე: ნუ იღვარძლები რა. კარგი ქალია. იცი რა მითხრა შენზე შენ რო გასული იყავი? ჯერ მკითხა რა პორფესიის ხარო. მე ვუთხარი და ტირილი დაიწყო. დედამისი ინა მაღლაკელიძე პოეტი იყო და ატირდა და

ჩამეხუტა.ფსევდონიმით ვწერ მეთქი.არასოდეს მიატოვო ეგუდიელიო. ის ხეა, რომლის ირგვლივაც ციციანათელასავით უნდა იტრიალოო. ოქროს ხეო.

ეგუ:ისეც შენი კარგი მოვტყან რაც სამსახურიდან მაგიტომ გამაგდო, წერა არ იციო!. ინგლისურად თან.კაი, ქართულად შეიძება მართლა არ ვიცი.

თეზე:რა დაგემართა ეხლა?

ეგუ:არ მჯერა მაგის სენტემენტალური სიტყვების.მთვრალი იყო!

თეზე:რატო არ გჯერა?არ გჯერა რომ მართლა ოქროს ხე ხარ, რომლის ირგვლივაც ციციანათელასავით უნდა ვიტრიალო მთელი ცხოვრება?

ეგუ:არა, არ მჯერა! იმიტომ რომ ასე არ მოხდება.შენ ჩემთან არ დარჩები.მანქანით საცობში ვიდექი გუშინ.გაჩერებული იყო მოძრაობა.დავინახე ეკლესია.ვიფიქრე, აი, ახლა თუ გადავალ, მოძრაობას დავიკიდებ და ამ ეკლესიაში სანთელს დავანთებ და დავბრუნდები, თეზე არ წავა ჩემგან მეთქი. გადმოვხტი შევევარდი და დავანთე სანთელი.მჯეროდა, რომ თუ ასე ვიზამდი შენ არ მიმატოვებდი.მაგრამ ვიცი რომ წახვალ და მართლმადიდებელი.ეს დედაჩემის გამო მოხდება თუ რის გამო არ ვიცი.მაგრამ არ მინდა ეს დღე მალე დადგეს.ცას რომ ავხედავ ,მიწას რომ დავხედავ შენ გამახსენდები.მანქანაში რომ ჩავჯდები,პირს რომ დავიბან,კბილებს გამოვიხეხავ, ყველაფერს ვიზამ.ძილის წინ საათობით მიფიქრია შენზე რომ დამსიზმრებოდი,საათობით მიფიქრია რა მექნა რომ გაგხარებოდა.ლამეები მითენებია იმაზე ფიქრით წითელი ვარდები უფრო გაგხარებოდა თუ გვირილები.და მერე ჩამირთავს ტელევიზორი, სადაც ვილაც თანამედროვე ფილოსოფოსის ვებინარისთვის მომისმენია როგორ დაიცალა სამყარო სიყვარულისაგან.მიზანთროპიადაა ირგვლივ.არაფრის იმედი აღარ უნდა გვქონდეს.თანამედროვე ადამიანი მუნკის კივილი კი არაა.ის უკვე შეეგუა უღმერთობას და უსიყვარულობას .რომ სიყვარული არ არსებობს. მიკითხავს ჩემი თავისთვის- მე რა მჭირს, აბა?!

თეზე:რატომ ვტანჯავთ ერთმანეთს ასე?

სიჩუმე.

ეგუ:არ ვიცი! სიყვარულის დროს ცოტათი ვგავართ ღმერთებს და ტანჯვის დროს ცოტათი ადამიანებსო შენ რო გიწერია, გახსოვს?

თეზე: კი!

ეგუ:იცი როგორ მიყვარს ეგ ფრაზა? მე ვთარგმნე ეგ ინგლისურად და პატარა ჩარჩოში ჩავსვი.

თეზე:მერე სად წაიღე?

ეგუ:თავთან დავიკიდე.

თეზე:გინდა გასწავლო ვალსი?

ეგუ:კი!

თეზე: ადექი, მხრებში გაიშალე. ჩემი მტევანი უნდა იდოს შენ მხარზე. ასე.. მეორე კი წელზე. ა! ნუ მიჭერ, ასე ხომ მეტკინება?!

თეზე რთავს ვალსს და იწყებს თვლას. ეგუ ხან ფეზე აბიჯებს . ეშლება ნაბიჯები. იცინიან და კოცნიან ერთმანეთს.

თეზე. დიმიტრი.

თეზე: პირველი რამდენიმე თავი უკვე დავწერე.

დიმიტრი: მერე?

ტეზე: არ ვიცი, ცუდად ვგრძნობ თავს.

დიმიტრი: შეგიძლია მომიყვე კონკრეტულად რა გჭირდა?

თეზე: ფეხები მეყინებოდა და კანკალი მიტანდა. ღამე გამაღვიძა გულმა. სასწრაფო არ გამოვიძახე.

დიმიტრი: კარგია.

თეზე: ასე კიდევ დამემართება?

დიმიტრი: მოეშვი.

თეზე: ვისუნთქო?

დიმიტრი: თუ აქამდე არ სუნთქავდი, კი.

თეზე: არა, ღრმად ვისუნთქო?

დიმიტრი: ღრმად ისუნთქე და შეიხედე შენთ თავში, გულში. სადაა ის ზიზღი ახლა?

თეზე: გულში.

დიმიტრი: ისევ დედამისის სახე აქვს?

თეზე: კი!

დიმიტრი: წარმოიდგინე რომ ის ხარ. რას ეტყობი შენი შვილის შეყვარებულს?

ტეზე: არ მიყვარხარ! მეზიზღები! გადი აქედან!

დიმიტრი:და რატომ?

თებე: იმიტომ, რომ შენ არ ხარ მისთვის შესაფერისი.

დიმიტრი:კიდევ უფრო კონკრეტულად?

თებე:იმიტომ, რომ შენ მასზე 3 წლით უფროსი ხარ.

დიმიტრი:ასეა?

თებე:ასეა. 6 წლით დიდი ვარ.

დიმიტრი:მერე ეს რას ცვლის?

თებე:ადამიანი როცა გგავს, კეთროვანივით გეშინია მისი.

დიმიტრი:არ ეშინოდა რომ მასზე დაწერდი?

თებე: ეშინოდა, მაგრამ ყველაფერს თავის სასარგებოდ ატრიალებდა.უნდოდა რომ მიზეზი მოედო რომ ჩემზეც წერსო ეთქვა შვილისთვის.მეც მხვევს მის ფანტაზიებშიო.შენ რა შვილი ხარ დედა ვერ დაგიცვიაო.

დიმიტრი:შენი პასუხი?

თებე:დედასგან შვილი ვერსად წავა.თუ დედას არ სურს მას არასოდეს მიანიჭებს თავისუფლებას.თავისუფლება უნდა დაიმსახურო და არ უნდა გეშინოდეს,მაგრამ თუ ფსიქოლოგიურად გაგტეხეს მერე ძნელია ისევ დამოუკიდებელ პერსონად იქცე, რომლის იმედიც შეიძლება ქალს ჰქონდეს.მერსიამ აჯობა..ორივეს გვაჯობა მერსიამ.მერსიამ თავის თავსაც აჯობა.

დიმიტრი:მერსია?

თებე:ხო, მერსია და არც ეგუდიელია გავრცელებული სახელი!

დიმიტრი:არც თებე.

თებე:მინდა, მივიდე და ვკითხო- რატომ გპულდი?

დიმიტრი:გიპასუხებს, მიყვარდიო.

თებე: კი! ასე იქნება.

დიმიტრი:იქნებ მართლა შეიცვალა დამოკიდებულება.

თებე:არ გამოვრიცხავ.სამი წელი მარტო იმისთვის ვითმინე რომ მერსიას დაენახა რომ კარგი ვარ.

დიმიტრი:ისედაც კარგი ხარ.

თებე:მინდოდა მიხვედრილიყო.მინდოდა ერთხელ მაინც დამენახა მის თვალებში ცოტა მწიკვი სითბო. მწიკვი ხომ იცით არა რამდენია?ადამიანებისთვის ძალიან მცირედია საჭირო რომ ყველა წარსული წყენა წამში დაივიწყოს და ცაში აფრიდნენ.

დიმიტრი:რადაც არაჯანსაღია ამაში. რატო ისჯიდი თავს, რომ ეღიარებინეთ?

თებე:მნიშვნელოვანი იყო,თორემ ეგუდიელი დაშორებამდე 6 თვით ადრე აღარ მიყვარდა.უბრალოდ, თავს ვაჯერებდი რომ ასე იყო.თავისით მინდოდა დამთავრებულიყო, თვითონ მინდოდა რომ წასულიყო.

დიმიტრი: რატომ?

თებე:რომ მე არ დამბრალეოდა ამ ურთიერთობაში რამე.მეთქვა- შენ დაამთავრე.

დიმიტრი:გინდოდა რომ თავი დამნაშავედ ეგრძო?

თებე:კი.იმიტომ, რომ ვერ გრძნობდა დედამისის გამო რამხელა ტკივლს მაყენებდა.

ეგუდიელი.თებე.

თებე: ეგუ სადაა ის დასახლება?

ეგუ:აქაა, მესამეჯერ დავარტყით წრე.აქ იყო.

თებე:როგორ, აბრა არაა! ნორიო რომ ეწერა არ გახსოვს?

ეგუ:როგორ არ მახსოვს?

ტებე:აღარაა?

ეგუ:აღარაა!

თებე:იმ აბრასთან გადაწყდა ყველაფერი...გახსოვს?

ეგუ:კი

თებე:იქნებ გვეშლება და სხვაგანაა?

ეგუ:აქ იყო, აქ! ნამდვილად აქ იყო!

თებე:ნახე. იქნებ სიბნელეა და ვერ მივაგენით.

ეგუ: შენზე მეტად მინდა რომ ვიპოვნოთ. მაგრამ აღარაა. ვილაც შეეჯახა ან აიღეს ან არ ვიცი...

თებე: მართლა აღარაა! მორჩა დამთვრდა.

ეგუ: აღარაა! სხვა აბრაა იქით, სხვა სოფელი იწყება, წამო იქ მივიდეთ.

თებე: არ მინდა იქ. იქ რა მინდა. მე მინდა იმ ადგილას სადაც ყველაფერი დაიწყო.

ეგუ: ესაა ის ადგილი

თებე: ის ადგილი აღარ არსებობს.

თებე: შუა ჩემთვის არ არსებობს.

დიმიტრი: ან უნდა გიყვარდეს ან გძულდეს?

თებე: აბა სხვანაირად როგორ?

დიმიტრი: ინდიფერენტული განწყობა გქონდეს საკითხის მიმართ.

თებე: ანუ გეკიდოს. როცა მესამე წელს აბრა ვეღარ ვნახეთ მივხვდი რომ მალე დამთავრდებოდა და ერთი თვეც არ გავიდა, დავმორდით. აღარც მინდოდა და არც შემეძლო. დედამისს კი გამოვტყუე ჩაიზე დაპატიჟება. მერე დავჯექი და კითხვა დავსვი ღირს კი ამდენ ტანჯვად ერთი ჭიქა ჩაი? ყოველ ღამე ვტიროდი.

დიმიტრი: რა მოხდება მერე?

დიმიტრი: მას შემდეგ არასოდეს შეხვედრიხარ?

თებე: ვის? დედამისს? სად შევხვდებოდი ქალს, რომელიც თავის სამ სართულიან სახლში ცხვრობს გამოკეტილი და გარეთ არ გადის.

დიმიტრი: უცნაურია

თებე: ასეთი იყო! ეგუდიელზე არაფერი ვიცი. ცოტა ხანი ვილაც ყავდა. ცოტა მგონი ჩემს დასანახადაც. არ მახსენდებოდა. მხოლოდ ერთხელ ძველი 1950 წელს გამოცემული უძველესი მანქანების კატალოგი ვნახე ბუკინისტებში. ვიფიქრე მუყიდი მეთქი. სალაროსთან მივხვდი, რომ ის აღარ არსებობდა. წიგნი იმავე თაროზე დავაბრუნე. ის იყო ჩემი ერთადერთი გახსენება.

თებე: აიღე, აქ ყველაფერია რაც მაჩუქე!

ეგუ: რად მინდა. ეს ჩემი არაა ყველაფერი შენია.

თებე: არ მინდა!

ეგუ: ნუ გადაყარე მაშინ, რა ვქნა.

თებე: შენ ახალ გოგოს აჩუქე ჩემი სახელით.

ეგუ: მაგას რომ ამბობ არ იცი რომ მეწყინება? მაგრამ შენთვის სულერთია...

თებე: შენთვის? ვატკინო, მერე რა, არსად წამსვლელი ეს არაა, უბრალოდ, მაშინებსო ფიქრობ. იცი რას გეტყვი? წადი! წაიღე ეს ნივთები და ერთს გთხოვ ვინც არ უნდა შეგიყვარდეს...

ეგუ: აღარავინ შემიყვარდება მე თებე! დამშვიდდი! როგორც ლერმონტოვთანაა ჩემმა სულმა დახარჯა შენზე თუ რამე სიყვარულის ნიჭი გააჩნდა. დამთავრდა! ახლა უბრალოდ მშვიდად ვიცხოვრებ.

თებე: მაგას სიცარიელე ჰქვია განა სიმშვიდე.

ეგუ: დამანებე თავი!...

თებე: ახლა ლაპარაკობ ასე. დრო გავა და ყველაფერი გაივლის.

ეგუ: არაფერი არ გაივლის. არაფერი!

თებე: სიყვარულის მარადიულობას აწვები?

ეგუ: არაფერს არ ვაწვები!

თებე: დავიღალე! ერთს გთხოვ, მომავალში ასე არავის, დაიცვა იმ დედაკაცისგან, მისი გესლისგან. მაპატიე თუ ისეთი არ ვიყავი როგორც დედაშენს უნდოდა ვყოფილიყავი. დედაშენს კი არა დედაჩემს როგორც უნდა ისეთი ვერ ვიქნები.

ეგუ: სულელი ხარ!

თებე: დედაშენმა მასწავლა როგორ არ უნდა მოვექცე ქალს. ამისთვის მადლიერი ვარ.

ეგუ: ნუ გამოგყავს დემონი! შენ უფლება გაქვს იფიქრო ის რაც გინდა და მას არა?

ტეზე:მე სხვას ასე არ მოვექცევი და თუ სიმართლე გინდა ნათელი მაგალითია როგორ უნდა დაუნგურო შვილს ცხოვრება.

ეგუ:..არ დაუნგრევია! მე არ მაინტერესებს მისი აზრი

ტეზე:მე მაინტერესებს.მე გავიზარდე ოჯახში, სადაც ერთმანეთის აზრს პატივს ცემდნენ.

ეგუ:ყველას შენსავით არ გაუმართლებს მშობლებში.

თეზე:ხანდახან გიყურებ და ვერ ვხვდები როგორ ხარ მისი შვილი.რატომ ხარ ასეთი კარგი?

ეგუ:შენ დამაფიქრე რომ შეიძლება კარგი ვყოფილიყავი.იმაზე მეტი ვარ ვიდრე ვფიქრობდი.იმაზე კარგი გავხდი.

თეზე:და რა გგონია რომ დავშორდებით ცუდი გახდები?

ეგუ:ვერ ხედავ როგორ გაგაბოროტა ამ ყველაფერმა?ჩაჭედილი გაქვს ლურსმანივით და ვერ ივიწყებ.პატიების უნარი დაკარგული გაქვს.

თეზე:იცი რატომ? იმიტომ რომ აღარ მიყვარხარ.და ეს სიყვარულიც ისე არაა მიდის შენგან.არ მინდა რომ წავიდეს.ლამისაა მუხლებზე დავდგე დავუჩოქო.რამდენჯერ უნდა მოვკვდე და გავცოცხლდე.რამდენჯერ უნდა გადაიტანო ადამიანმა ტკივილი რომ რკინა გახდეს.

ეგუ: შენ არ გემუქრება ეგ.

თეზე,ოლი,თემიკო

თეზე კითხულობს

თეზე:”ხანდახან მგონია რომ მოვკვდები. სცენაზე ვდგავარ შიშველი. ჩემს ხორცს იქით თითქოს ჩემი მთრთოლვარე სულიც ჩანს.ვინც ჩემ ქმარს თამაშობს მირტყამს.მე მეწვის კანი და მახსენდება შენი ნათქვამი სიტყვები და პერსონაჟი კი არა, მე ვიწყებ ტირილს, ღრიალს! იმიტომ რომ ამ ტკივილების გადმოსაფრქვევად სცენაზე უკეთეს ადგილს ვერ იპოვნი.”ჰა, რა გინდა შე ძაღლო!”მიყვირის პარტნიორი.მე კი ჩამესმის შენი ხმა“ აქ რა გინდა შე სულით ტურტლიანო!” რამ მოგაფიქრა ეს სიტყვები?ეს ხომ დამლაა.ვკანკალებ და სცენაზე წყალი შემომმაქვს.როგორ არ მინდა გეზიზღებოდე.იცი როგორ მინდა მითხრა მაპატიე და ჩაგეკრა გულში.დედა.როგორ მინდა იცი რომ გავიგო სიტყვები, შენგან გავიგო სიტყვები რომ კარგი ვარ,ნიჭიერი ვარ,მაინცდამაინც შენგან.იმიტომ რომ მე მიყვარს შენი შვილი.რომელიც შენი საშოდან იშვა.შენი სისხლი აქვს კანი და სულის ნაწილი,მაგრამ არაფრით, არაფრით არ გგავს შენ.”

ოლიკო:რა საშინელებაა!ამას როგორ წერ, ღამე გძინავს?

თემიკო:რამე ხომ არ შევუკვეთოთ

თებე:კი! უნდა ავლნიშნოთ.

თემიკო:(მიმტანს) შამპანურის შეკვეთა გვინდა.

მიმტანს მოაქვს

თემიკო:მოდით ახლა ჩემ აზრს გეტყვი.უყვლევს გონკებში ხარ! ბოზი ქალივით იქცევი.

თებე:რა?

თემიკო:და მეგობარი რომ არ იყო ამას არ გეტყდოდი.მაგრამ ნევროზი გაქვს.კი არ გაქვს.გაიჩინე ძალით.360 გრადუსით ურტყავ საკუთარ თავს წრეებს და წინ მიქრიან უწყუყუყუ ფიქრები!

ოლიკო:რა დაგემართა?

თემიკო:არაფერი არ დამემართა და შენ ნუ მეჩრები ძალიან გთხოვ! ჯერ გამომდგარი ხარ და რაღაც უაზრო პოსტებს წერ ამ ფეისბუქზე.გარეკე? რა გინდა? რა ბიჭი ? რა დედა?

თებე:ვის ეუბნები?

თემიკო:შენ გეუბნები და მოდი აზრზე.ნევროზი გაქვს სერიოზული.საკუთარი თავი გეზიზღება განა სხვა.სხვას ადანაშაულებ უბრალოდ.”მთრთოლვარე სული “ამოღე ტექსტიდან.თებეს პრობლემა ეგაა,რომ როცა რამეს ვერ იგებს,გონია რომ ცუდია თვითონ და დასტურს ეძებს ყველასთან რომ კარგია.ვინმესგან დასტურის მოთხოვნილება და სიყვარული სხვადასხვა რამეა.ამიტომ იბლანდება ურთიერთობებში და აღარა იცის, ველარ გაურკვევია სინამდვილეში რა უნდა.

ოლიკო:თემიკო, აღარ დალიო!?

თემიკო:ჯერ არც დამილევია და შენ კიდევ იმის მაგივრად რო რაღაც უთხრა ხედავ, ტიპი აღარა ამქვეყნის, გაუტია.ზიხართ აქ დაქალოჩკები უბერავთ ვაფშე სხვაგან! ყალბია თებე ეგ ყველაფერი, ყალბია. იცი რატომ არის ყალბი შენი ტექსტი? იმიტომ არასწორად გაქვს პრიორიტეტები დაწყობილი.თუ შენზეა ეს ტექსტი და ამკარად შენზე.ვირგილიუსში არის ერთი ასეთი ფრაზა სხივისი სიმულვილი საკუთარი თავის სიმძვილიდან იწყებაო.ტყუილია ეგ ზიზღი! რომ ვიღაცამ შეძლო თუნდაც დედამ რაღაცის ანულირება.ბოძვაა! შეუძლებელია.ის

ტიპი შენ არ გიყვარდა, იგნობდი. გჭირდებოდა ეს გამოგონება, რომ იმას გაელმერთებინა და ეთქვა :ოოო, დიდო თებე! ეს აღარ გაქვს და ფიქრობ როგორ გაგიბედეს. აი, თებე სახელწიფოებს ანგრევდა . შენ კიდე თავი დაინგრიე. შეგვეცი ყველას ვაფშე! ხარ, ხარ! დაარწმუნე საკუთრი თავი რომ კარგი ხარ. ვიღაც დედას ედრები, მეზობელ გოგოს, სხვა მწერალ ქალს, იმას მეტი აქვს ამას ნაკლები. მორჩი!!! უკვე ნაადრევად დაგეწყო შუა ასაკის ქალის კომპლექსები და გგონია რომ შვილი თუ არ გყავს და არ გათხოვდი ვსიო! ჩაგიქროლა ცხოვრებამ. რაც იმ დღეს მომწერე დაგბლოკავდი, გაგაჯმევიანებდი, მაგრამ ჩემთვის ყველა არ ხარ! ჩემთვის ჩვეულებრივი მეგობარი არ ხარ. დადიხარ ფსიქოლოგთან გასახსენებლად განა გასანალიზებლად რა ბოდვაშიც ხარ და სისულელეს ქექავ წარსულიდან.

ოლიკო: გაგიჟდი?! რა გჭირს, ხო არ გააფრინე, რეებს ამბობ?!

თემიკო: აი, ეხლა შენ მომისმინე კარგად! ჯერ ის რომ გასუქდი. წერას თავი დაანებე იმიტომ, რომ რამემ არ შეგაწუხოს, დისკომფორტში არ ჩაგივარდეს საკუთრი თავი. ერთ კონკურსში როგორ გაბედეს და როგორ დაგიწუნეს მაგაზე ჩაბოღმილი ამ ქვეყნიდან გაქცევას ფიქრობ, იცი რატომ? იცი? იმიტომ რომ არაფრის შეცვლის თავი არ გაქვს და ტრაკის თმაშიც არ შეგიძლია და ვიღაცასთან შეძრომა რომ რამე ქნა. იმიტომ იმ შენ საშუალოზე დაბალი დონის საგნების თეატრში საშუალოზე დაბალ ხელფასს რო გიხდიან ჭამ შენ საშუალოზე დაბალ ვარგისიანობის ბურგერებს, სახლში მოდიხარ, კატას ეფერები, მერე თებეს ურეკავ და არკვევთ ყველა კაცი ერთნირია ისევ თუ არა. მერე 1 საათის საუბრის მერე როცა გაარკვევთ რომ აი, ისევ კაცებშია პრობლემა . ყლები ეგენი- გადატრიალდები და ტკბილად იბინებ.

ოლიკო: რატომ მელაპარაკები ასე? რა დაგიშავე? მე წავედი!

თემიკო: წადი, მიდი გაიქეცი! სახლში რომ მიხვალ კატას ჩაეხუტე, ფილმს უყურე და მერე რამე წიგნი დააყოლე ზემოდან, იქნებ კითხვებზე მოგცეს პასუხი.

ოლიკო: არაადამიანი ხარ! იდიოტი ხარ!

თებე: აუ, არ წახვიდე რა, გემუდარები..ოლიკო! ოლი!

თემიკო: და ამ ბოდვებს უნდა ვუსმინო? ტიპს გარეკილი რო გაქვს და მეც მითრევ და გინდა რომ გითხრა „შე საწყალო, როგორ დაგჩაგრეს!“

თებე: შეგიძლია მე მითხარა ის რაც გინდა. მე არ მეწყინება, მაგრამ იცი ოლიკო რომ...

თემიკო: ოლიკო რომ, რა? მარტო ოლიკოა ადამიანი და ჩვენ სული არავის არ გვაქს? არც პრობლემები და არც არაფერი?

თებე: რატომ მელაპარაკები ასე. ვერ ვხვდები რამე დავაშავე?

თემიკო:დებილი ხარ თუ რა გჭირს?

თეზე:შეგეძლო სხვანაირად გეთქვა.

თემიკო:ნუ მამშვიდებ რა! არა,რატომ კაცო, გეწყინოს.ხანდახან მეგობარი იმისთვისაა საჭირო რომ სილა შემოგაწნას.ნუ, ნუ შვები ესე, საკუთარ თავს რას ერჩი თეზე! თეზე სახელმწიფოებს ანგრევდა. მიდი და დაანრგიე, მაგრამ მაგასაც ტრაკი უნდა!

თეზე:მორჩი! გავიგე!

თემიკო:ვიცი, მე გამოცდილი მაქვს ეგ ყველაფერი.შენ რა გოგონია რომ ეგ არ გამომიცდია? ხო დედამომიტყნეს,მაგრამ იქ არ ჩავრჩი.არც შენ გირჩევ.არ მოგცემ მაგის უფლებას. უკან რატომ ბრუნდები ადამიანო რატომ?წინ გაიხედე.ისევ ერთ ადგილი უნდა ტკეპნო? არ გაიზარდე?

თეზე:ხშირად ვეუბნები -,მაპატიე ჩემო თავო რომ ასე გექცევი.“

თეზე ტირის

თეზე:ვერაფერს ვშველი.მგონია რომ წერა მიშველის.არც ეგ მშველის.

თემიკო:არასწორად მიდიხარ.ჩემი თუ არ გჯერა კითხე მამაშენს, წააკიხე.მამშენი კიდე სხვაა, ის მაინც სუბიექტურია შენს მიმართ,მაგრამ გეტყვის.

თეზე:რას მეტყვის რას?ლევან აზრს არ ვეკითხები 15 წლის მერე. ნეტა ოლიკო სადაა?

თემიკო:მოვა!

თეზე:რა სისულელეა... ვიცი შენ გავლილი გაქვს ეს ეტაპი და როცა ხედავ, რომ სხვაც იმ დღეშია და უაზროდ იტანჯავს თავს.

თემიკო:ხოდა მოეშვი რა! ვიცი ხისტი ვარ, საშინელებების ლაპარაკი შემიძია.პირდაპირ უნდა აჯახო ადამიანს!

თეზე:ვიღაც შეიძლება დაიმსხვრეს.

თემიკო:დასამსხვრევი უნდა დაიმსხვრეს.დასანგრევი უნდა დაინგრეს.

თეზე:არ გესმის, რომ იმ ქალმა დამანგირა და ის წამართვა რაც ყველაზე ძალიან მინდოდა?

თემიკო:სულელი ხარ თუ რა გჭირს? თებეს ტრაგედიებში ანტიგონე სახელმწიფოს ერევა,შენ თეზე კი სიყვარულებს იგონებ არასრულფოფილების განცდის გადასალახად.იცი რატომ? იმიტომ, რომ სოციუმმა შეგტენა.სოციუმს არ უნდინხარ ისეთი იყო როგორც ხარ და თავის თავზე გირგებს.შენთვის ეს ორგანული გახდა.ქმრებს იგონებ, საყვარლებს. ოჰა! საკუთრ მოგონილში იხარშები და ამ მოგონილში კიდე ზემოდან რაღაცას იგონებ, იმიტომ რომ გჯერა ასეა და მერე წერ. გინდა რომ ჩვენც დავიჯეროთ და აი,შენი ჭირიმე რა!!! ყალბია!!! არ გითხრა?

თეზე:შეგეძლო ცოტა ისე გეთქვა.

თემიკო:აუ! მორჩი რაა! ეგაა ცხოვრება. დაგანგრევს, გადაგივლის და დიდი ბოდში თუ დათაფლული სიტყვებით არ მოვედი.3 საათის სალაპარაკო ,რომელსაც ან გაიგებდი ან ვერა,გითხარი პირდაპირ.

თეზე:ყური როგორ გაქვს?

თემიკო:ალილუია რომ გაგახსენდა! რაღაც პრობლემები რომ გვაქვს ჩვენ ადამიანებს.

თეზე:ძალიან მიყვარხარ!

თემიკო:ხოდა იცოცხლე რა! ნუ ჩაეშვები.არ ჩაცურდე.

თეზე:ბოლომდე უნდა ჩავშვებულიყავი რომ მერე ამომეყვინთა.

თემიკო:ხო მეც ასე მომივიდა.

ტეზე:შევეცი საკუთრ თავს .

თემიკო:მაგარი გამოთქმაა.

თეზე:შევეჭამე!

თემიკო:მოეშვი რა. ბოდმა ქალი გახდი, რო იწყევლება ისეთი.თეზე ხარ ნუ გავიწყდება! შენთვის ნუ გავიწყდება თორემ ხალხს მაგრად კიდია თეზე ხარ თუ ვინ ხარ!

თეზე:წავედი ოლიკო უნდა ვიპოვნო.

თემიკო და თეზე გადაეხვევიან ერთმანეთს.

თემიკო:გაიგე?

თეზე:გავიგე!

თემიკო:გამოიძახე ტაქსი, მეც მოვიდვარ.

თებე და თემიკო კართან

თებე:ოლი გამიღე კარი! ოლიკო! გთხოვ!

კარი იღება.

თებე: ოლიკო მაპატიე რა! ამასაც აპატიე.ყველას გვაპატიე.

ოლიკო ტირის

ოლიკო:რა გინდა რატომ მოხვედი აქ?ხო მსუქანი ვარ, არ ვწერ საერთოდ რა გაქვს საერთო ჩემთან.იმაზე კი არ არის რა მითხრა, რო მელაპარაკებოდი გძულდი.ამან შემარცია.

თებე:არა აქ ჩემზე იყო აქცენტი და შენც მოყევი ამ ომში.

ოლიკო:არა რა შუაშია ეგ.შენ რო გელაპარაკება ეგ არაუშავს ?შენ რო საშინელებები გაძახა?

თემიკო:სიმართლე ვთქვი!

ოლიკო:სიმართლეს ნუ ამოეფარები ძალიან გთხოვ. იცი რასაც ვამბობ.უზრდელი ხარ! წადი! წადი რა!

თებე:რას აკეთებ, შენ ნორმალური ხარ? რისთვის წამოხვედი რომ უარესად გააღიზიანო?

თემიკო:მეცოდებით ორივე!

ოლიკო:რა თქვი ბიჭო?! მე შენ მეცოდები.ხო, მეცოდები ვიღაც პატარა გოგოებს დასდევ კუდში ლექსებით და აფორიზმებით ელაპარაკები და დაგცინიან, იცი?იცი ეგ! კარგია ასე ლაპარაკი.ყველაფერი ითქვას მაშინ რა. ამბიციებმა შეგჭამა და გგონია რომ ყველაფრის უფლება გაქვს.გგონია რომ ძლიერი ხარ და ძიერი ყველას იზიდავს.გაურბიხარ სინამდვილეს ზღავზე წახვედი რომანის დასაწერად.სად არის რომანი, დამანახე ერთი. რას აკეთებ?იქიდან ფეისბუქით გვმომრავ და გვაგინებ?დავწერ ამაზე!

თემიკო:ნუ დაგავიწყდება რომ წერა მეც ვიცი და მიწაში ჩაგდებ! მეტს ველოდი შენგან. მეტს დედას ვფიცავარ!

თებე:გაჩერდი ეხლა!

ოლიკო: არა ერთი ალაპარაკე მაინტერესებს სადამდე მივა.

თემიკო: კარგი!

ჯდება სკამზე

თემიკო: რა ვუთხარი თებეს არასწორი?

თებე: მორჩით რა გული მერევა უკვე!

თემიკო: აირიე! მომისმინე რა? რაც ვუთხარი შენ ესე არ ფიქრობდი? არ ფიქრობდი რო გარეკილი აქვს? თქვი გაფიცებ! გთხოვ!

ოლიკო: მე?

თემიკო: სიმართლე თქვი

ოლიკო: ვფიქრობდი!

ტირის

თებე: რა?

ოლიკო: ისე ცუდად იყავი იმ დღეს, ლევანთან დარეკვა მინდოდა. მაპატიე რა! უბრალოდ ქალი ვარ. მე ვერ გეტყვოდი. მინდოდა შენ თვითონ მისულიყავი ამ დასკვნამდე

თებე: რას ვერ მეუბნებოდი რას?

ოლიკო: იმას რომ ვერ გცნობდი.

ტებე: ხალხნო ეხლა ნუ გამარეკინებთ მართლა და „მეფე შიშველიას“ ნუ მეთამაშებით რა!

თემიკო: გარეკე ერთი ვის რა ფეხებს მოსჭამ საკუთარი თავის მეტს ძალიან მაინტერესებს. გინდა გითხრა ყველაფერი?

თებე: კიდევ დარჩა რამე რაც არ გითქვამს? არ მიდნა, საკმარისია! რა, თუ ცუდად ვარ კი არ უნდა მწიხლოთ მოხვიდეთ. მე მესმის, გავიგე, მაგრამ შეურაწყოფას ვერ ავიტან ნამდვილად. ღირსება...

თემე კარისკენ მიდის თემიკო დაეწევა ხელს მოკიდებს

თემიკო:დაჯექი აქ და მომისმინე კარგად.დაწყნარდი რა და გონებას მოუხმე თუ დაგრჩა.ხო გავარკვეით რომ მარტო მე არ ვფიქრობდი და აგერ მეტად განსწავლული ქალბატონი.მეგონა ესეც გაგიჟებულა- მეთქი და არა, ჯერ კიდე შერჩენია მცირედი გონი.ფიქრობს იგივეს.ფორმას ეძებს, ჯერ ვერ იპოვნა. აი, ფსიქიატრიულში რო გიკრავენ თავს მერე კიდე იფიქრებს და მერე რამეს იზამს თუ კი გადაწყვეტს...

ოლიკო:რა გინდაა?!... ვერ გავიგე?!

თემიკო:დაწყნარდი!!! ვიცი ვალიუმში სადაც გიდევს, ათი წლის წინაც მანდ გედო შეგიძლია მიიღო.

ოლიკო:არ მჭირდება! რას მერჩის?

თებე:მე თუ გინდა მეჩხუბე,მაგრამ სრულიად უმიზეზოდ ნუ დაესხი ადამიანს თავს.

ოლიკო:ნუ მიცავ! ვლიზიანდები რომ მიცავ!იცი რას გეტყვი? წადი ჩადი ზღვის პირა ქალაქში და განაგრძე შენი მოგონილი მარტოობით ტკბობა და წერე რომანები რომელიც იმდენად მხოლოდ შენ პრობლემაზეა რომ მკითხველს საპირფარეშოდან საძინებლამდე არ მიყვება აზრი.არ შეიძლება 300 გვერდი ეთმობოდეს იმას როგორ გინდა მწვანე შარვალი ჩაიცვა და ვერ იცვამ.ეს არავის აინტერესებს.

თემიკო დგება და გადის გვერდზე ოთახში.თებე გადახედავს ოლიკოს.
თემიკო ბრუნდება.

თემიკო:იცი რას გეტყვი?! რაზეც მინდა იმაზე დავწერ.მე მაქვს უფლება ჩემ პატარა მახინჯ პრობლემებზე...

თებე:ააა! მარტო მე არ მაქვს?

თემიკო:გაჩუმდი! მე მაქვს უფლება ვწერო იმაზე რაზეც მინდა.გინდა ჩემ ეგზისტენციალურ პრობლემაზე და გინდა იმ ნაწლავებში მოტივტივე განავალზე თებე:მაგაზე უკვე დაწერა ბუკოვსკი... შეგახსენე უბრალოდ...

თემიკო: ვიცი ვინ რა დაწერა! და მე ვეძებ...იმიტომ რომ ბუკოვსკიმ თუ დაწერა განავალი მე უნდა დავწერო განავალი და ია.ყველაფერი დაიხატა,ყველაფერი დაიწერა და მოძველდა.მე კი მინდა ამ განავლამდე და იამდე მივიდე.აი, შენგან განსხვავებით. მინდა ჩემ პატარა მახინჯ პრობლემებზე ვილაპარაკო,თუნდაც მხოლოდ მე მაწუხებდეს ეს.მაგრამ ადამიანები სამწუხაროთ ძალიან ვგავართ ერთმენთს და ამ წუთას მწვანე შარვლის ჩაცმას უშლიან ბილოქსიში ჯეიმს კერვუდს,პოზიტანოში პასკვალე მაგს,კერალაში პრანავ რაჯს. სიჩუანში ულის.ჩემთვის საკმარისია ეს ხალხი,რომ თავს უფლება მივცე დავწერო.

ოლიკო:არა. მე უნდა დავწერო მოთხრობა.მორჩა გადაწყდა თუ რამეა ამაზე მეტი ჯალათობა რაც აქ ხდება, არ ვიცი!

გადის ისტერიულად.იღებს კომპიუტერს და გამოაქვს.ხსნის და ამათ დიალოგს ბეჭდავს

თემიკო:მომისმინე თებე!

თებე:გაჩუმდი! მოკეტე!

თემიკო:კარგი მოვრჩეთ.გინდა სიმართლე?

თებე:არა! არაფრის მოსმენას არ ვაპირებ. ველარაფერს მოვისმენ, იმიტომ რომ გული არ გამისკდეს.

თემიკო:მაინც გეტყვი, აზრი არ აქვს. ავიღოთ ის ქალი, რომელიც სართოდ არაფერ შუაში.

თებე:აღარ მინდა! შემეშვი!

თემიკო:გიტხრა სიმართლე? ეგ ქალი ძალიან კარგად ხედავდა რომ არ გიყვარდა მისი შვილი. შენ ის არ გიყვარდა, გამოიგონე.დააბრალებ, შეტენე და მერე ამან არ იმუშავა.და დედას არ უნდოდა მისი შვილისთვის რაც არ უნდა მაღალი და ლამაზი ყოფილიყავი და წარმატებული ქალი ,რომელიც , მამენტ, მაგრად დაიკიდებდი მის შვილს პირველივე მასზე უკეთესთან შეხვედრის მერე.

თებე:გაჩუმდი!

ოლიკო:აუ,ეს გაგიჟდა!

თემიკო:იცი რატო ვერ იტან იმ ქალს? რო არ ისურვა მისი შვილი ყოფილიყო შენი მონა.შენ ვერ იტან, იმიტომ რომ ის ამას მიხვდა! შენ მისტირი მას და შენ არავინ არ მოგტირის. საკუთარი ეგო გათრევეს,როგორ გაგიბედეს ეს-ასეთ დიდს, ძველი ბერძნების იდეოლოგიის დედაქალაქს, თებეს!

თებე:რა დავაშავე?

თემიკო:’მთრთოლვარე სულები“ ამოიღე იმ ტექსტიდან.

თებე:რას ვწერ ვიცი საერთოდ?

თემიკო:მიდი რა, დაწერე რასაც ფიქრობ! დაწერე ყველაფრის გარეშე.პირდაპირ და მარტივად.

თებე:რა, რა დავწერო?

ოლიკო:თებე დამშვიდდი.

თემიკო:ნუ ამშვიდებ შენ!

თებე:კარგი! ასე იყოს:”მე თებე ვარ,მე მძულს საკუთარი თავი,ჩემში მეტია სიძულვილი და ბოროტებამდე დაყვანილი ვნებით საკუთარ თავს დასაცინად მივუგდებ ბრბოს, იმიტომ, რომ მძულს.სიძულვილი ზიზღი არაა, ის ამაზე მეტია და ზიზღი უბრალოდ ზოლია ტანსაცმელზე,რომელიც მთლიანდაა დარღვევას მოასწავლებს.თუ ყველა გიყვარს, ესე იგი არავინ გიყვარს.საძულველი უნდა მოიძულო . საკუთარ თავში შიში შეიძლო.კომპლექსები შეიძულე.შავი ფისივით დაღევ ამ სიტყვებს.სხეული დამეღალა.საკუთარ თავს სასტიკად ვექცევი,დაუნდობელი ვარ. ბოლომდე უნდა დავიძირო!ვამბობ“ სიყვარული” მხოლოდ შორს ტვინის ხვეულებში თუა ჩარჩენილი განმარტება მასზე.ისიც მძულს.მძულს იმიტომ რომ მეშინია.მძულს ანუ გავურბივარ.ადამიანი კი უდაბნოში არ უნდა წავიდეს ვარდების საკრეფათ, იმიტომ, რომ ის იქ არაა.

სამივე სხედან ერთხანს ჩუმად.სამივე ეწევა.

ოლიკო:გახსოვთ, სერიალს რომ ვწერდით, გვერდზე ოთახში გახმოვანების ზაზა?

თემიკო:კი.

ოლიკო:გარდაიცვალა.

სიჩუმე

თებე,ოლიკო

კარზე ზარია თებე აღებს.ოთახი მოუწესრიგებელია.

ოლიკო:რას აკეთებ? გენერალური წმენდა გაქვს?

თებე:ყველა ძველ ნივთს ვყრი,რაც ვარგისია აქეთ ვაფასოებ.

ოლიკო: აუ, რამდენი ნაგვით გაქვს სახლი გამოტენილი.

თებე: წლებია არაფერი გადამიყრია. თვითმფრინავის ბილეთები ნახე? ეს ტანსაცმელი ნახე.

ოლიკო: აუ, ეს სუნამოს ბოთლები არ გადააგდო რა.

თებე: წაილე თუ გინდა

ოლიკო: აქ ასხია კიდე. ეს დაიტოვე. მიყვარს ეს სუნამო "good girls gone bad" - კარგი გოგო გახდა ცუდი.

თებე: ყავა გინდა?

ოლიკო: კი.

თებეს ჭიქები შემოაქვს, მაგიდიდან ალაგებს ნივთებს. სხდებიან. ჩამოასხამს ყავას

(ზედა მეზობლისგან ისმის ფორტეპიანოს დაკვრის ხმა)

თებე: მოიცა!... ერთი წუთით ავალ რა ბოდიში.

ოლიკო: არა, კაცო მიდი!

დიმიტი თებე

თებე: ბატონო დიმიტრი, როგორ ხართ?

დიმიტრი: თებე. რატო, რატომ აღარ გამოჩნდი? დაასრულე წერა?

თებე: არც დამიწყია.

დიმიტრი: უი!

თებე: სადმე მიემგზავრებით?

თებე ჩემოდანს შეამჩნევს

დიმიტრი: არა, ცოლთან გადავდივარ. მინდოდა მეთქვა შენთვის, ვიფიქრე, გამოჩნდებოდი მაგრამ...

თებე:რას ამბობთ, გილოცავთ!

დიმიტრი:შენდაუნებურად შენი ბრალია.

თებე:ჩემი? რატომ?

დიმიტრი:იმ დღეს ბავშვი მივიყვანეთ ერთად სიმღერაზე. ვუთხარი თუ არ გისადილია წამოდი დაგპატიჟებ მეთქი. თავიდან თითქოს არ უნდოდა. წავედით, დავსხედით, ვსადილობთ. ჩვენი კონსულტაციების დროს ეს აზრი რაღაცნაირად ამეკვიპა და ვკითხე. დედაჩემისგან რამე ხომ არ გწყენია-მეთქი. დედაჩემი გარდაიცვალა ხუთი წელია. ადამიანს შეიძლება ჩაღექილი აქვს რაღაც გაუცნობიერებლად. თუ ასეა, მე გთხოვ ამას რომ აპატიო- მეთქი. არაო, თავი გაიგიჟა. ვისადილეთ, სხვათა შორის, გემრიელი ხორცი თუ გიყვარს აუცილებლად წადი“ ბარბარეში”. სალამოს მესიჯი მომწერა. ეს რატომ მკითხეო.

თებე:ძალაიან მიხარია.

დიმიტრი:მადლობა, სახლს მაინც არ ჩავაბარებ. თუ არა და ხანდახან მოვალ დავუკრავ ხოლმე ჩემთვის. კარგი აზრია არა?! მოკლედ, შემდეგ ჩხუბამდე ერთად ვართ.

თებე:რა იცით რომ ჩხუბამდე?

დიმიტრი:ილუზიებში ცხოვრებას არ ვაპირებ.

თებე:ბედნიერებას გისურვებთ.

თებე ოლიკო

თებეს სახლი. სხედან.

თებე:იცი რატომ დაგიბარე? აი, (თითოს იშვერს) ის დიდი ყუთი სულ ეგუდიელის ნივთებია რაც მაჩუქა და უკან უნდა დავუბრუნო.

ოლიკო:კაი რა. რატომ?

თებე:მე არ მჭირდება და იქნებ თვითონ უფრო გამოიყენოს.

ოლიკო ყუთთან მივა და ამოქექავს

ოლიკო:რაში უნდა გამოიყენოს ეს სანდალოზის სპილო?

თებე:თუ უნდა გადაყაროს.რადგან მისია მე ამას ვერ გავაკეთებ.

ოლიკო:ხო რა ვიცი...

თებე:ეს სანათი გააკეთა იმ მანქანის ნასოსისგან,რომლითაც 10000 კილომეტრი გავიარეთ ერთად....რატო არ გვიყვარდება ის ადამანები, ვინც ამას ყველაზე მეტად იმსახურებენ?

ოლიკო:დრამამ, როგორც ჟანრმა, დიდხანს რომ იარსებოს . დედამისი რო შეგხვდეს?

თებე: ვიფიქრე მაგაზეც. ხო, ნუ რასაც მეტყვის მეტყვის. წავედით!

სახლითან ჩერდება მანქანა.თებე გადმოდის, გადმოაქვს პარკები და შედის ეზოში.კარს უახოვდება და რეკავს ზარს.

თებე:გამარჯობა!

მერსია:გამარჯობა!

თებე:იცით.აი,ეს ეგუდიელის ნივთებია და იქნებ სახლში შეიტანოთ.

მერსია:უი,რას ამბობ.ახლავე.

თებე:კარგით მაშინ .

მერსია:თებე!

თებე ტრიალდება

თებე:დიახ!

მერსია:მოყინულია და ფრთხილად ჩადი.

თებე:ა.ხო!.

მერსია:ნახვამდის .

თებე:კარგად იყავით.

თებე გადის.კარი იკეტება.თებეს ტელეფონი ურეკავს.

თებე:ხო თემიკო.რა?...ააა! რა მაგარია. ხო? აუუუ! კარგი! არა, დაუჯდა ეტყობა.კი.

თებე და ოლიკო მანქანაში.

ოლიკო ეწევა.

თებე:ოლიკოო!

ოლიკო:რა მოხდა?

თებე: გილოცავ!

ოლიკო:რას?

თებე:გამარჯვებას.

ოლიკო:სად?

თებე: “მოჰელ”არის საუკეთესო. შენმა ნაწარმოებმა გაიმარჯვა.

ოლიკო:ხუმრობ?

თებე:არა, თემიკომ დამირეკა ახლა.შენც გირეკავდა, მაგრამ გამორთული გქონდა ეტობა.

ოლიკო:ააა!

თებე:ააა!

ოლიკო:იმ სუნამოს ვყიდულობ დღესვე და მერე ვენეციაში მივდივარ.არა! ჯერ ვენეციაში მივდივარ და იქ ვყიდულობ!

თებე:აუ! პარარამ!

ოლიკო:სად დაიდო აბა, რომელ სიატზე?

თებე:მოიცა ვნახოთ. აი, ოლიკო ნავერიანი.ააა!

შემოდის მუსიკა.წამოვა თოვლი.მანქანაში გოგოები ტელეფონს ჩასცქერებიან,მერე
გადმოვლენ და ჩაეხუტებიან ერთმანეთს.უხარიათ.

დასასრული